ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3085296

ნომერი: AR1476021

თარიღი : 05.02.2017

გაცემის თარიღი : 08.02.2017

გაცნობის თარიღი : 08.02.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ერწო , N 11 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ გიორგობიანი პ/ნ 01001015795
- თბილისი გლდანი VII მ/რ კორ. 16 ბ. 47

ნომენკლატურა :

- საწყობი
- II კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "ნიუ ჰაუზი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 439865512
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ალექსანდრე ჩუბაბრია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 39001004669

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1024.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 394.8
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 1593.3

- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 1593.3
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 0.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 6.76
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 6.16
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.6

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ატვირთული დოკუმენტაცია, შენობა (№1/1№ 2/1, №3/1, №4/1, № 5/1) -ის დემონტაჟს განხორციელების შესაძლებლობის თაობაზე.

საკითხის განხილვის შედეგად გაცნობებთ შემდეგს:

“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მუხლი 67. II კლასს განეკუთვნება შენობები რომლის, განაშენიანების ინტენსივობის (სიმჭიდროვის) კოეფიციენტით (K-2-) განისაზღვრება – სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური 300 მ2-მდე ფართობით (ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისათვის სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური 500 მ2-მდე ფართობით),ასევე შენობები, რომელთა სიმაღლეა 5 მ-დან 12 მ-მდე და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 2 მ-დან 4 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობები და შენობები რომლის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის სიგრძე ნაკლები ან ტოლია 7,00 მ-ისა.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისადა სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მუხლი 19. შენობა-ნაგებობების კლასები მშენებლობის ნებართვის გაცემისა და ექსპლუატაციაში მიღებისათვის (17.01.2012 N 6)

2. შენობა-ნაგებობის კლასისადმი მიკუთვნება ხორციელდება ასაშენებელი ან სადემონტაჟო შენობა-ნაგებობის პარამეტრების მიხედვით, რეკონსტრუქციისას, იმ შემთხვევაში, როდესაც შენობა-ნაგებობის კლასი იზრდება, კლასი განისაზღვრება შენობა-ნაგებობის საბოლოო (სამშენებლო დოკუმენტით გათვალისწინებული) პარამეტრების მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ რეკონსტრუქციისას შენობა-ნაგებობის კლასი მცირდება, მაშინ შენობა-ნაგებობის კლასისადმი მიკუთვნება ხორციელდება არსებული სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის პარამეტრების მიხედვით.

3. თუ ერთ კონკრეტულ შენობა-ნაგებობას აქვს სხვადასხვა კლასის განმსაზღვრელი მახასიათებლები, მაშინ შენობა-ნაგებობის კლასს განსაზღვრავს მისი ყველაზე მაღალი მახასიათებელი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რადგანაც წარმოდგენილი ანაზომი ნახაზის გეგმის მიხედვით არსებული სადემონტაჟო შენობა სავარაუდოდ 4/1-ის (რადგანაც არ გაქვთ მითითებული ნომერაცია) შიდა სივრცეში არ ფიქსირდება საყრდენი დგარები ან კაპიტალური კედელი და შენობის მაქსიმალური მალის სიდიდე აღემატება 7,00 მ-ს შესაბამისად აღნიშნული სადემონტაჟო სამუშაოები ვერ იქნება მოაზრებული II კლასის ობიექტად შესაბამისად თქვენს მიერ არასწორად იქნა შევსებული კლასის განსაზღვრის კალკულატორი.

აღნიშნულის გათვალისწინებით იმისათვის, რომ სამსახურმა შეძლოს თქვენი საკითხის ხელახლა განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება საჭიროა სწორად აირჩიოთ ნომენკლატურა და შეავსოთ კლასის განსაზღვრის კალკულატორი მიუთუთოთ შენობებიდან კლასის განმსაზღვრელი მაქსიმალური მონაცემი იმისათვის რომ ობიექტს მიენჭოს მისი შესაბამისი კლასი .

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას ამ ეტაპზე დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.